**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 27 მარტს.**

გაზეთი „**ივერია**“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

**ეკატერინე დავითის ასული კოლუბანსკისა** და **დარია დიმიტრის ასული მუსხელიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი შვილისასა, ხოლო მეორე ძმისას, **ალექსანდრე დიმიტრის ძის კოლუბანსკისას**, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ საკუთარის სახლიდგან კალოუბნის წმ. გიორგის ეკკლესიაში პარასკევს, 27 მარტს, დილის 8 საათზედ.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ხუთშაბათს, დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. (2—44—1)

## ქ. ოზურგეთში

10 მარტიდგან ამა მიმდინარე წლისა მე-81, 82, 83 და 85 მუხლის თანახმად სავაჭრო წესდებისა დაარსებულია ურთიერთს ნდობაზედ (на Вѣрѣ) ამხანაგობა შემდეგის ფირმით: **ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა წარმოება მ. ო. ურუშაძისა და ამხ.**, რომლის უმთავრესი აზრი ის არის, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, გაადვილოს და გააიაფოს ეტლით მოგზაურობა გურიაში და, თუ საჭირო იქნება, ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც. ამ ჟამად ეტლები ამა ამხანაგობისა განსაკუთრებით ოზურგეთსა და რკინის გზის სადგურს ნატანებს შუა დადის საფოსტო და სახალხო მატარებლის დროს. ამხანაგობას ეხლავე **192 წევრი** ჰყავს. თითოეული წევრი ერთ-დროებითად იხდის **ოც-და-ათ მანეთს** და ამ ნაირად ძირეული თანხა ამხანაგობისა **5760 მანეთია.**

საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: პირველად **ათი** მანეთი და დანარჩენი **ოცის** ექვსის თვის განმავლობაში. ვისაც სურს ამხანაგობის წევრად ჩაწერა, მიჰმართოს ამ ადრესით: „Въ Озургетское товарищество вольныхъ экипажей М. О. Урушадзе и К°. (6—1)

საალდგომო საჩუქარი **ქართველებს.**

იხილეთ მეოთხე გვერდზედ ქართველთა ამხანაგობის განცხადება.

**ქართული თეატრი**

ოთხშაბათს, 25 მარტს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ მ. საფაროვას თაოსნობით წარმოდგენილი იქნება

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით**

მეორედ ახალი პიესა:

## ქართველი დედა

ისტორ. დრამა 5 მოქმედ., გადმოკეთ. ავ. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, გუნია და სხვ.

ადილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებს კუპონები ლოჟაში 50 კაპ. დაეთმობათ.

დასაწყისი 8 საათზედ.

«ქართველთა ამხანაგობის» მიერ გამოცემული

## ილია ჭავჭავაძის თხზულებათა

პირველი ტომი

(ლექსები და პოემები)

ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი გარდაეცა ამხანაგობის მაღაზიას გასაყიდად.

ფასი 1 მ. 20 კ.

ამხანაგობის აგენტებს გაეგზავნებათ 26 მარტს.

## კბილის ექიმი ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—31)

## ახალი ამბავი

*** დღეს ტფილისის „კრუჟოკში“ მეექვსე ლექცია იქნება. მკურნალი ფრინკელშტეინი წაიკითხავს ლექციას ავადმყოფობის გაფრთხილებისა და აცრის შესახებ.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტი გვთხოვს გამოვაცხადოთ: „ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ 6 იანვარს 1892 წ. გამართულის ბალის სრული შემოსავალი იყო ათას ცხრა ას ოც-და-ხუთი მანათი და სამი აბაზი (1925 მ. და 60 კ.) აქედგან დაიხარჯა ბალის გასამართავად ორას ოც-და-ხუთი მანათი და სამი აბაზი (225 მან. და 60 კაპ.). წმინდა შემოსავალი დარჩა ათას შვიდასი მანათი (1700 მ.). გამგე კომიტეტი თავად-აზნაურთა საზოგადოებისა თავის მოვალეობად ჰრაცხს მადლობა გადაუხადოს ბალის გამგებელს კ-ნა მ. დ. მაღალაშვილისას და უგანათლებულესს კნეინას პ. ა. ვიტგენშტეინისას, რომელმაც პირველის ავადმყოფობის გამო ინება იმ დღეს მიღება ბალის გამგებლობისა, „ტფილისის კრუჟოკის“ გამგე საბჭოს, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო ბალისათვის „კრუჟოკის“ დარბაზი, გაზეთ „ივერიის“ რედაქციას ბალის განცხადების უსასყიდლოდ დაბეჭდვისათვის, თავადს ივანე სულხანის ძეს ჭავჭავაძეს, რომლისაგანაც ყოველ წელს უხვი შეწირულება ეგზავნება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას, და აგრეთვე ყველა იმათ, რომელთაც ბალს თანაგრძნობა და დახმარება აღმოუჩინეს.

*** ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიის დირექტორად დანიშნულია დედათა პირველ გიმნაზიის ინსპექტორი ალექსანდრე არკადის ძე კოზიულკინი.

*** ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორის განკარგულებით ყვირილაში ხეხილისა და სხვა ხეების 400 ბაყილო მიუღიათ. ბაყილოები გაუგზავნეს: სვირისა, წირქვალისა, ჩხირულისა და მერევის სკოლებში. ამ სკოლის მასწავლებლებს დაავალეს, რომ შეგირდებს ბაღოსნობა და მებოსტნეობა ასწავლონ.

*** ტფილისის არტისტულის საზოგადოების რწმუნებულს ბ-ნს ფორკატის ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ამერიკულ არტისტ მაჯისთან, რათა აღდგომის შემდეგ ტფილისში მოიწვიოს წარმოდგენებისათვის. აგრეთვე მოწვეულ იქნება მოსკოვიდგან იტალიური საოპერო დასი. 6 მაისს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში საბალეტო დასის წარმოდგენები დაიწყება.

*** ტეხნოლოგიურის ინსტიტუტის სტუდენტმა მ. კ. ყიფიანმა 1889 წელს სამეურნეო გამოფენაზედ წარადგინა თავის მიერ მოგონებული ღუმელი ნახშირის დასაწველად. საექსპერტო კომისიამ ეს ღუმელი დიდად მოიწონა, რადგანაც ამ ღუმელის საშუალებით ნახშირის დაწვას ძლიერ ცოტა შეშა უნდებოდა. ტფილისში, სადაც უფრო მომეტებული ნახშირია საჭირო, ამ ღუმელით დამწვარ ნახშირის მოტანას ის გარემოება უშლიდა ხელს, რომ ნახშირის რკინის გზით გადმოტანა ძვირად ჯდებოდა. ეხლა, როგორც გაზეთს „Кавказъ“-ს შეუტყვია, ყიფიანის თხოვნით, რკინის გზის მმართველობას ნახშირის გადატანის ფასი თითქმის გაუნახევრებია, ასე რომ გურია-სამეგრელოდგან ტფილისში ნახშირის ჩამოტანა ფუთი 10—12 კაპ. დაჯდება და სურამის მთების ტყიდგან ფუთი 4 კაპ. იმედია, რომ, თუ ეს საქმე მართლა განხორციელდა, ბოლო მოეღება ტფილისის მაზრაში ტყეების გაჩეხვას.

*** პარასკევს, 20 მარტს, საზაფხულო თეატრის დარბაზში სომეხთა წიგნების ბეჭდვის საზოგადოების კრება იყო. კრებას საზოგადოების 150 წევრი დაესწრო და მრავალი ხალხი. კრებამ ჯერ ერთ-ხმად გრ. არწრუნი აირჩია თავმჯდომარედ. შემდეგ წაკითხულ იქმნა საზოგადოების ანგარიში 1891 წლისა. ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ 1891 წელს საზოგადოებას ტფილისში ჰყოლია 108 ნამდვილი და 3 საპატიო წევრი. 1892 წელს კიდევ 197 ახალი წევრი მიჰმატებია. ამას გარდა საზოგადოებას სხვა-და-სხვა ქალაქში 40 ნამდვილი წევრი ჰყოლია და 36 თანამშრომელი. 1891 წლის დასაწყისში საზოგადოებას 3,763 მან. და 11 კაპ. ჰქონია. წლის განმავლობაში საზოგადოებას შემოსვლია 5,785 მან. 98 კაპ. დახარჯულია იმავე წლის განმავლობაში 3,714 მან. 11 კაპ. 1892 წლისთვის დარჩენია საზოგადოებას 2,071 მან. 87 კაპ. ეს ანგარიში ერთ-ხმად იქმნა დამტკიცებული. დამტკიცებულ იქმნა აგრეთვე 1892 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

## ფელეტონი

### ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ

(მოთხრობა პოლ ბურჟესი)

აბბატმა რენომ თითქმის ორი საათი დაჰყო თავისს საალსარებო ადგილას და ისმენდა გრძელსა და გაბმულს სიას უმძიმეს და აგრეთვე მსუბუქ ცოდვა-შეცოდებისას, რომელსაც სინანულით აღიარებდა სათემო მოძღვრის წინაშე მუხლ-მოდრეკილი მრევლი.

აბბატი ბოლოს მარტოდ-მარტო დარჩა და დაემზადა წამოსვლას.

მოახლოვდა საღამოც, მარტის თთვე იყო და ერთბაშად ბინდით მოიცვა ეს პატარა ფრანცისკანთა ორდენის ეკკლესია, რომელიც კლერმანის ყველა მოსახლემ იცოდა. ამ ეკკლესიის კამარის ქვეშ უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც მხოლოდ ათასში ერთხელ არღვევდა ხან კაკუნი სკამის გადადგმ-გადმოდგმისა და ხან ხველების ხმა.

თუმცა აბბატი რენო ნამდვილი ტრაპეზის მოსამსახურე იყო და მასთან შესანიშნავი აღმსრულებელი თავის მოვალეობისა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო და ცოტა უკმაყოფილოდ შეიქმნა, როდესაც უცებ მოესმა მასთან მიმავალის ადამიანის ფეხის ხმა. ვიღაც მიუახლოვდა საალსარებო ადგილს, დაიჩოქა და ნელ-ნელა დააკაკუნა ფიცრით ჩაკეტილი მოაჯირი.

ტანისამოსის შრიალით, რომელიც კაკუნის დროს მოესმა, მოძღვარი მიხვდა, რომ დედაკაცი უნდა ყოფილიყო. ამ დროს აბბატს უცებ მოაგონდა, რომ უკვე ექვსი საათი იყო, ვახშმობის დრო, და მისი მოსამსახურე ანეტაც ბატონის მოლოდინში იქმნებოდა. მაგრამ აბბატმა მყისვე შეინანა ასეთი აზრი, წარმოსთქვა ლოცვები და მსწრაფლ გადასწია ფიცარს. მართალია, სიბნელეს უფრო და უფრო ემატებოდა, მაგრამ მაინც გაარჩია მუხლ-მოდრეკილი ჯერ კიდევ ახალგაზდა დედაკაცი, რომელსაც სახის გამომეტყველებაზედ ცხადად ეტყობოდა, რომ მძიმე ალსარებას რასმე ეტყოდა. მოხუცებული აბბატი ისეთს ფიქრებს მიეცა, ისეთს თავ-დავიწყებას, რომელიც არ შეეფერებოდა იმისს სამსახურს; ჩაღუნა თავისი ჭაღარა თავი, უფრო იმიტომრომ უკეთესად მოესმინა ახალგაზდა ქალის ალსარება და ამასთანავე ალსარების მთქმელსაც ადვილად და გარკვევით დაენახა პატივცემულის მოძღვრის მშვიდი სახე, მისი ცისფერი თვალები. უსწორ-მასწოროდ, მღელვარეს ხმით აბბატმა წარმოსთქვა დაწესებული ლოცვები...

— ჩემო მამაო, დაიწყო ქალმა შემდეგ იმისა, როდესაც აბბატმა რამდენიმე სიტყვა ჰკითხა: მე მოვედი თქვენთან ჩემის ცხოვრების, თავგადასავალის, მომავალის საალსარებოდ... მე ვემზადები დანაშაულის ჩასადენად... ნუ მკითხავთ, რა დანაშაულობის ჩასადენად, ამას არ გეტყვით... ვერ გეტყვით, ვერა... მე მინდა აღვასრულო ის, წარმოსთქვა ქალმა მღელვარედ და ხმის ამაღლებით. გარდა ამისა, მამაო, იცოდე, რომ მე ცუდ დედაკაცთაგანი არა ვარ. ხომ ჰხედავთ, რომ ჩემში კიდევ მოიპოვება სარწმუნოება. გემუდარებით, მომიტევეთ ჩემი ცოდვები, განსაკუთრებით-კი ის ცოდვა, რომელიც ეხლა მწადიან ჩავიდინო... კარგად მესმის, რომ საშინელის თხოვნით მოგმართეთ... ოჰ, თქმა რომ შემეძლოს ყოველისავე, მაშინ თქვენც შეიტყობდით ჩემს სრულს უბედურებას, ჩემს მდგომარეობას, შემიბრალებდით! ოჰ!

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს მაგრად მოეჭიდა მოაჯირს, თითქოს ამითი უნდოდა შეემაგრებინა თავისი მწუხარება, და ტირილიც მორთო.

თითქმის ოც-და-ათის წლის სამსახურის დროს აბბატს არა ერთხელ მოუსმენია უცნაური აღსარება სხვა-და-სხვათაგან, მაგრამ ეხლა-კი სრულიად სხვა რიგად შეძრწუნდა, შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვა და გადადებულ იქმნა დასახარჯავად 4,000 მან. შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, საზოგადოებამ ადრესი გაუგზავნოს მოსკოვში სომეხთა პოეტს ა. შაჰაზიზიანს, რომლის იუბილეი 9 აპრილს იქნება გარდახდილი, და იმავე პოეტის თხზულებანი ცალკე წიგნად დაჰბეჭდოს.

საზოგადოების სარედაქციო კომისიის ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ 1891 წელს საზოგადოებას შემდეგი წიგნები დაუბეჭდია: 1) „დიდად პატივცემულნი გლახაკნი“ და 2) „ჩვენებური ბობოლები“, პარონიანისა (სომეხთა სატირიკოსისა); 3) „ბოაბა“; ე. ორჟეშკოსი, 4) „ფინია“; კულიკოვისა. 5) სამი ზღაპარი შჩედრინისა; 6) „ტარასკონელი ტარტარენი“ ა. დოდესი; 7) «ორლეანელი ქალწული», ოსტროგორსკისა; 8) «ნამდვილი სამსახური», პოტაპენკოსი; 9) «ოჯახის იმედი», ანნენსკისა. ამას გარდა იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა კიდევ შემდეგი წიგნები: 1) ავტობიოგრაფია არარატელისა, 2) ხოსოსას დღიური, 3) ქიმია როსკოსი და 4) სამი ზღაპარი შჩედრინისა. სულ 10 წლის განმავლობაში საზოგადოებას 36 წიგნი დაუბეჭდია. შემდეგ კრებაზედ ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, თუ როგორი წიგნები უნდა ჰბეჭდოს საზოგადოების სარედაქციო კომისიამაო. კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, რომ ეს საქმე თვით კომისიას უნდა მიენდოსო, იმან შეიმუშავოს პროგრამა და კრებას წარმოუდგინოსო. ბოლოს კენჭის ყრით ამოირჩიეს: გამგეობის წევრად კნ. მ. მ. თუმანოვისა, ხაზინადრად და გამგეობის წევრად—ქ. ვ. ხაჩტუროვი; რედაქციის კომისიის წევრებად: ო. ტერმარკოსიანი, ს. ბალაღიანი, ა. დასტაკიანი, ნ. ტერ-ავეტიქიანი და ს. მალხასიანი. საზოგადოების მდივნად აღმოირჩიეს: ნ. ტერ-ავეტიქიანი და იმის კანდიდატად—ვ. აკოფიანი. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა, მადლობა გამოუცხადოს სამსახურისათვის გამგეობის იმ წევრთ, რომელთაც ვადის შესრულების გამო სამსახურს თავი დაანებეს. კრება ღამის 1 საათზედ დაიშალა.

*** სასიამოვნო წიგნია დიდად „იოანე გუსი“, გამოცემა სახალხო წიგნების მოყვარეთა, თარგმანი ნ. შ—ძისა. თუ ენისა და თუ შინაარსის მხრით საუკეთესო საკითხავია ეს წიგნი ჩვენის მდაბიო ხალხისათვის. ამ წიგნში წმინდა ქართულის, მდაბიურის ენით მოთხრობილია ცხოვრება და მოღვაწეობა ჩეხიის შესანიშნავის მქადაგებელისა და მოწამე იოანე გუსისა, რომელიც დასწვეს კონსტანცის კრების გარდაწყვეტილებით. ასე ხერხიანად გადმოქართულებული და შინაარსით ჩვენის მდგომარეობის დიდად შესაბამი წიგნი სანთლით უნდა ეძებოს კაცმა ჩვენს ნათარგმნ სახალხო მწერლობაში. მხოლოდ ათასში ერთხელ თუ შეხვდებით იმისთანა უხერხულს ქართულს, როგორც მაგალითად: „სიღარიბის გამო ამ საწყლებს დიდის გაჭირვებით მოჰქონდათ თავი“. ანუ კიდევ: „ახლა-კი დაუცობენ მაგას პირს“... დიდის მადლობის ღირსნი არიან ის სახალხო წიგნების მოყვარენი, რომელთაც პირველადვე ამისთანა მშვენიერი წიგნი დაუბეჭდიათ. მისი გავრცელება ხალხში დიდად სასურველია. ფასი წიგნისა ორი შაურია.

*** ოზურგეთში აგერ მეცხრე წიგნი დაუბეჭდიათ. ეს მეცხრე წიგნია პატარა ამბავი სოფლის ცხოვრებისა, დაწერილი ლ. ტოლსტოის მიერ, სრულად გადმოთარგმნილი ბ-ნ სტ. ხოჯივანაშვილისაგან. ამბავი სახალისო და სასარგებლო საკითხავია მდაბიო მკითხველისათვის. თარგმანი ძალიან კარგია, რომ ალაგ-ალაგ მთარგმნელი პროვინციალიზმებს არა ხმარობდეს. მაინც დიდად სასურველია ამისთანა წიგნის გავრცელება ხალხში. ფასი ამ პატარა წიგნისა ერთი შაურია.

*** სოფ. ტოლა (რაჭა): სოფ. ხვანჭკარში აგერ ათი წელიწადია, რაც გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა არსებობს. სამწუხაროდ, ამ ამხანაგობის მოქმედების ანგარიში ყოველს წელს არა ცხადდება. ამას გარდა, ფული უფრო თავადსა და აზნაურს ეძლევა სესხად, ვიდრე გაჭირვებულს გლეხ-კაცს. სარგებლის გადახდის საქმეც წესით არა სწარმოებს. საზოგადოდ, ამ ამხანაგობას მეტი თვალყურის გდება ეჭირვება მის გამგებელთაგან და არ იქნება ურიგო, რომ ამხანაგობა მოიყრიდეს თავს და უკეთ დააწყობდეს მის საქმეებს.

*** სამტრედია: თებერვალში გადიწვა აქ ორი ხის შენობა, ერთი ქრისტინა შენგელიასი და მეორე აზ. დიმ. ასათიანისა. პირველში მაღაზია იყო სიმინდისა, როგორც ამბობენ, დაზღვეული 1,000 მან.; შიგ ჰქონდათ შენახული 20,000 ფუთი სიმინდი ვაჭრის დიმ. პ—დისა. ეს სიმინდიც ფუთი მანათად ყოფილა დაზღვეული.

*** დამშეულთა სასარგებლოდ მეორე ლატარიის ტირაჟი ივლისის დამდეგს მოხდება („Бирж. Вѣд.“).

*** გაზეთ „Кавказъ“-ს დეპეშით სწერენ ნოვოროსიისკიდგან, რომ იქ ამ ჟამად გზატკეცილის გაკეთებაზედ 9,718 კაცი ჰმუშაობს, ამათში ავად არიან ნოვოროსიასკში 46 და ახალში ათონში 40 მდე და არაფერი გადამდები და საშიში ავადმყოფობა არ არის, როგორც ზოგიერთს გაზეთში იყო მოხსენებულიო.

## ქალაქის საბჭო

23 მარტი

კრებამ განიხილა წინადადება ხმოსან ონანოვისა იმის შესახებ, რომ ქალაქი უჭველად უნდა დაეხმაროს ხალხს დიდ ხუნაგის მოსპობის საქმეშიო. ეჭვს გარეშეაო, სთქვა ხმოსანმა, რომ ხუნაგი ჭირივით მოედო ბავშვებს, რომ იგი ადვილადა ვრცელდება ტფილისში, რადგან ქალაქს არა აქვს არც ავადმყოფთათვის თავშესაფარი, არც სადეზინფექციო შენობა, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო ტანთსაცმელისა და ავეჯის უზრუნველ ყოფა, რომ ამ უკანასკნელთა შემწეობით ჭირი არ ედებოდეს საღს ყმაწვილებს. გამგეობამ აცნობა კრებას, რომ სადეზინფექციო შენობის გაკეთება ადრევე გარდაწყვიტა საბჭომ და, თანხმად იმ განაჩენისა, წრევანდელ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია ამისთანა შენობის გასაკეთებლად ოთხას ორმოც-და-ათი თუმანიო. კრებას შეუძლიან მიანდოს გამგეობას, ან ეხლავ შეუდგეს ამ შენობის გაკეთებას, ან არა-და, მოიწვიოს რამდენიმე ექიმი, რომელთაცა აქვთ საკუთარი სადეზინფექციო მოძრავი მაშინები. ეს ექიმები ივლიან სახლიდგან სახლში და, საცა საჭიროება იქნება, ყველგან მიეშველებიან ხალხსაო. საბჭომ დაადგინა, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას გამგეობის მიერ წევრი სასანიტარო კომისიისა, რომელმაც უნდა გარდასწყვიტოს, თუ როგორ და რაზედ უნდა დაიხარჯოს ხსენებული ოთხას ორმოც-და-ათი თუმანი ფული, რომ ჯეროვანი დახმარება აღმოუჩნდეს ხალხს. ხოლო უკეთუ ეს ფული საკმარისი არ იქმნეს, გამგეობამ დაუყოვნებლივ უნდა სთხოვოს საბჭოს კიდევ, რამდენიც დასჭირდება.

შემდეგ განიხილა კრებამ საქმე იმის შესახებ, მართლა იდგა ვილაც მეპურის თორნეში ცხენი, თუ არაო. ეს მესამე კრებაა, რაც საბჭო სულ ამის გამო ჩამოგდებულ დავიდარაბას ანდომებს ხანგრძლივს baasსა და გამწვავებულს ბრძოლას ხმოსანთა შორის და აგრეთვე გამგეობის წინააღმდეგ. ქალაქის თავმა მოახსენა კრებას, რომ ეს საქმე უკვე გარდაეცა მომრიგებელს მოსამართლეს და დამნაშავე დღეს ხელთა ჰყავს სამართალს, რომელიც უეჭველია ჯეროვანს სასჯელს მიაგებს მეპურესაო.

ხმ. შაჰაზიზოვი. ძალიან მადლობელი ვარ, რომ სამართალში მიგიციათ მეპურე, მაგრამ მე მაინც დაკმაყოფილებული არა ვარ. მე აქ გამაწბილა გამგეობამ, როდესაც ურწმუნოდ მოექცა ჩემს სამართლიანს განცხადებას და საქმის გამოძიება მიანდო არა რომელსამე წევრს გამგეობისას, არამედ ბაზრის მოხელეს, რომელიც თითონვე იყო გარეული ამ საქმეში თავის დაუდევნელობისა გამო.

ხმ. მ. კ. მაჩაბელი. ამ საქმეში დიდად საწყენი ის არის, რომ, ნაცვლად სათანადო გამოძიებისა, გამგეობა თავისის აგენტების შემწეობით იკვლევს, თუ რა განწყობილება ჰსუფევს ხმ. შაჰაზიზოვსა და მის მოწმეთა შორის. დღეის იქით უნდა მოველოდებოდეთ, რომ აგენტები ჩვენის ოჯახობისა და შინაურობის ვითარებას დაუწყებენ ჭექვას და გამოქვეყნებას, რომ ამით ხელ-ფეხი შეგვიკრან და კრინტის დაძვრა აღარ შეგვეძლოს არც ერთის უკანონობიე შესახებ. ეს დიდად გასაკიცხი საქციელია და ამიტომ კრებამ უნდა დაადგინოს, როგორც იმ დღეს ხმ. ზუბალოვმა სთქვა: „საბჭო აცხადებს, რომ მოხსენება ხმ. შაჰაზიზოვისა სრულიად დასაჯერია, და გადადის მორიგ საქმეთა განხილვაზედაო.“

ხმ. ევანგულოვი. ძალიან სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს, რომ ყოველი წარა-მარა საქმე საბჭოს განსახილველად არის შემოტანილი და ამოდენა დროს ვანდომებთ. აგერ სამი კრებაა, თავს ვიმტვრევთ—იდგა ვილაც მეპურის თორნესთან ცხენი, თუ არა მდგარაო, და ნამდვილად საყურადღებო საქმენი-კი გაურჩეველი გვრჩება. რა საკადრისია? ემაგრე ყოველმა ხმოსანმა რომ საბჭოს საკამათოდ დააყენოს, რასაც-კი ერთი ბეწო უწესოებას შეჰნიშნავს, საცა-კი თვალს მოჰკრავს ან ფურნესთან, ან დუქანთან, ან ქუჩაზედ, რომ მეპურე და კინტო, ან ყასაბი თავისს მოვალეობას ჯეროვანად ვერ ასრულებენო, თუ ყოველი ამისთანა შემთხვევა საბჭოში იქმნება მოსმენილი, ჩვენ ეს ოთხი წელიწადი ისე გაგვეპარება, რომ ქალაქისათვის ჩხირსაც ვერ გადავაბრუნებთ. ამისთანა საქმეები ვინც შენიშნოთ, შეატყობინეთ ქალაქის თავს, ანუ გამგეობის წევრთ და ისინი უეჭველად იღონებენ შესაფერს ღონეს, რომ უწესოებას, თუ-კი რითიმე მოევლება, ბოლო მოუღონ. ამასთანავე, რას ჰნიშნავს განაჩენი, რომელიც იტყვის, რომ ვერწმუნებით ხმ. შაჰაზიზოვსა და მორიგ საქმეთა განხილვაზედ გადავდივართო? ერთიც ვნახოთ, მაგ წინადადებამ ვერ გასჭრა და ხმის უმეტესობით არ მიიღო საბჭომ მაგეთი ფორმულა. ეგ ხომ იმას ეგვანება, რომ საბჭო არ ერწმუნება ხმოსანსაო, და როდესაც ასეთს ურწმუნობას გამოუცხადებენ ვისმე, იგი ხომ უნდა გადადგეს თავისს მოვალეობიდგან, ამ შემთხვევაში ხმოსნობიდგან. მერე რა უფლება გვაქვს გადავაყენოთ ჩვენი ამხანაგი, რომელიც ხალხის მიერ არის ამორჩეული? ჩვენ შეგვიძლიან ჩვენი ურწმუნოება გამოვუცხადოთ ჩვენს მიერ ამორჩეულთ, მაგალითად, გამგეობას, ხოლო ხმოსნები ამორჩეულნი არიან ხალხისაგან.

კენჭი იქმნა ჩამოტარებული და საბჭომ ცხრამეტის ხმით წინააღმდეგ თოთხმეტისა არ მიიღო ხსენებული წინადადება მორიგ საქმეზედ გარდასვლისა.

ბოლოს ცხარე ბაასი გამოიწვია განცხადებამ ხმ. შაჰაზიზოვისამ იმის გამო, რომ ქალაქმა ითხოვოს ძალდატანებითი შესყიდვა ვაჰანიანცის მამულებისა, რომელიც 62 კომლს მოსახლეს აყრას უპირებს, თუ ისინი ერთი ექვსად მეტს ქირას არ მისცემენ მიწისას, ვიდრე აქამომდე აძლევდნენო. ხმ. ჩოლაყაშვილის აზრით, შეუძლებელია ძალ-დატანებითი შესყიდვა უფულობისა გამო და არც კანონი მოგვცემს უფლებას. ერთად-ერთი დახმარება, რომლის გაწევაც შეუძლიან ქალაქს, იმაში მდგომარეობს, რომ შეღავათით დავურიგოთ მაგ ხალხს ქალაქის მიწებიო. ხმ. ი. გ. მაჩაბელმა დაურთო ამ წინადადებას ისიც, რომ რაკი მიწას მივცემთ,

---

ძრწუნდა ზნეობრივად იმ ახალგაზდა დედაკაცის გამო, რომელიც მოვიდა მასთან მშვიდობიანის სარწმუნოებით, დაიმედებული, ვითომ მომავალს დანაშაულს აპატიებდა მოძღვარი. რა დანაშაული უნდა იყოს? პირველში მოხუცებულმა აბბატმა იფიქრა, იქმნება სიყვარულის შურისძიების საქმე რამ იყოსო, და ამიტომ ეცადა სხვა-და-სხვა სიტყვის გადაკვრით გამოცნობას. შემდეგ ჰკითხა:

— შვილო!.. ის, რასაც თქვენ ითხოვთ, შეუძლებელია. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ყოველი დანაშაული ორკეცდება მაშინ, თუ იგი წინადვე განზრახულია. თქვენ მხოლოდ შესთხოვეთ ღმერთს, რომ ეგ აზრი გაპატიოთ, იმ დანაშაულობის აზრი, რის ჩადენაცა გწადიანთ. სთქვით ჩემთან ერთად, ნუ შემიყვანებ განსაცდელსა-თქო... აქ ამბატმა შენიშნა, რომ ქალს ჰსურდა აღსარების განგრძობა:

— არა, მამაო, ეგ ვერას მიშველის. ჩემი გარდაწყვეტილება შეურყეველია... მე ჩავიდენ იმას, რაც განვიძრახე, და თუ მოვკვდები, მოვკვდები დაწყევლილი, დაწყევლილი... ოჰ, შემიბრალე!

— ხვალ კიდევ მოდით, უთხრა ამბატმა.

— ხვალ რომ აღარ შემეძლება მოსვლა, უთხრა ქალმა: შეიძლება როგორმე კიდევ დღეს... მე დღეს იმიტომ მოვედი, უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, რომ არ აღმესრულებინა, ვიდრე არ გამოვითხოვდი თქვენგან წინადვე მოტევებას... ოხ, ვიღუპები, ვიღუპები!... ეკკლესიაც მითხოვს და სხვანიც, მაშ რით ვეძიო შემწეობა? რა რიგ ვიტანჯვი!

აბბატი რენო გაჩუმებული იყო. დანაშაულობა? ქალი ჰფიქრობს დანაშაულობის აღსრულებას? სიკვდილი ელის? უკანასკნელი ძალა მოიკრიბა? ხვალაც არ შეუძლიან მოსვლა? ყველასაგან დათხოვნილია? აბბატმა ხელ-ახლად შეხედა ქალს და თავში ერთი აზრი მოუვიდა, ის აზრი, რომელიც ზნეობრივ ტანჯულთ მცნობთათვის ყოველთვის ადვილი მისახვედრია.

აბბატი მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა ქალსა:

— ცოდვებს მოგიტევებ, თუ ხვალ კიდევ მოხვალ ჩემთან. აღთქმას გაძლევ, მხოლოდ ერთის პირობით, უეჭველის პირობით...

— რა პირობით?

— ვიდრე იმას მოჰკლავდე, ჯერ ძუძუთი გამოჰკვებე. ამ სიტყვებთან ერთად აბბატმა მიარახუნა კარები საალსარებო ოთახისა.

ჰნახა რა მოხუცებულის გონების ასეთი შორს განმსჭვრეტელობა, ქალი გაშტერებული დარჩა.

გაიგო, რომ აბბატი ეკკლესიის სალაროში შევიდა. იმას ფიქრადაც არ მოსვლია, თუ აბბატი შეჰნიშნავდა, ყურადღებას მიაქცევდა, მაგრამ იმის გახსენებამ, რომ კიდევ მოუნდებოდა შეხვედრა იმ კაცთან, რომელმაც მისი საიდუმლო შეიტყო, მთლად დაარცხვინა. შეეხვია თავისს მანტიაში, გამოვიდა ეკკლესიიდგან და გაემართა გრძელსა და ცივს ქუჩაზედ, სადაც ფარნებიც რიგიანად არ ანათებდნენ. ქალი ძლივს-ღა მიდიოდა.

აბბატი არ შესცდა: ქალი ორსულად იყო და, აი რამდენისამე დღის შემდეგ ახლად დაბადებული ბავშვი უნდოდა მოეკლა.

რა უნდა ყოფილიყო?

უბედურს ქალს ერქვა ჟულიეტა ბეილი. ეს ქალი იყო ასული ერთის მასწავლებელისა; საუცხოოდ დაამთავრა კურსი ერთს სასწავლებელში; მშვენიერად დაიჭირა ეგზამენი და, ერთის ეგზამენატორის რჩევით, შევიდა შვილების აღმზრდელად მდიდარს ოჯახში ქალაქს პარიჟს. განა ამ ქალს შესაძლო იყო მოეზიდნა გული ახალგაზდა ბარონის დე-კერნისა, გული იმ სახლის მეგობრისა, სადაც ეს ქალი სცხოვრობდა? ან-კი რა იცოდა? მაგრამ ენდო-კი იმ კაცს. რადა? ეს კაცი არ დაჰპირებია, ცოლად შეგირთავო. რისთვის? იმიტომ-რომ ქალს უყვარდა. ორის თთვის შემდეგ, ქალი განმარტოებული და შეურაცხებული დარჩა, ძნელად ასატანს მდგომარეობაში ჩავარდა.

— მე აღარ მიყვარს, ჩემი ტოლი დ ყადარი არ არის, ამბობდა ბარონი. ქალი ერთბაშად თავ-მოყვარეობამ აიტაცა. შემდეგ თითქმის იგრძნო, დედა ვხდებიო, მაგრამ ფიქრად ერთხელაც არ მოსვლია თავის შე-

ძნელი არ იქნება დავეხმარნეთ და და რომელისამე ბანკის შემწეობით ავუშენოთ სახლები, მერე თითონ ეს 62 კომლი ნელ-ნელა გაისტუმრებს ვალსაო. ქალაქის თავმა შეატყობინა საბჭოს, რომ ტფილისში არის, ვაჰანიანცს გარდა, იჯარადრებისა კიდევ თითქმის 1,900 კომლიო. საბჭომ, თანახმად ხმ. ჩოლოყაშვილისა და გამგეობის წევრის პ. ა. იზმაილოვის წინადადებისა, დაადგინა: მიეზომოს სახლის ადგილები ხსენებულ გაჭირვებულებს ქალაქის მამულებზედ შეღავათიანის პირობებით და უვაჭროდ.

შემდეგ კენჭი ექმნა ჩამოტარებული ხმ. შაჰაზიზოვს, რომელიც ამორჩეულ იქმნა კანდიდატად ცხენის რკინის გზის დელეგატის ხმ. პაშკევიჩისა, რომელიც ორის თთვით პეტერბურგშია წასული.

## რუსეთი

გუშინ-წინ დეპეშამ ამბავი მოიტანა პეტერბურგიდგან, მთავრობამ ნება დართო, რომ აზოვისა და შავის ზღვის ნავთ-სადგურებიდგან ფქვილი წაიღონ საზღვარ-გარედ მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ფქვილისავე წამღებლებმა იმავე წონის ხორბალი შემოიტანონ რუსეთშიო. ასეთი განკარგულება მთავრობისა სამხრეთ რუსეთის წისქვილის პატრონთა თხოვნამ გამოიწვია, ხოლო იმათ იმიტომ ითხოვეს ეს, რომ არ უნდოდათ საზღვარ-გარედ ბაზარი დაეკარგათ, რომელიც ამ უკანასკნელს დროს მოიპოვეს. ეს ნება-რთვა რომ არ მიეცა მთავრობას, მაშინ ხსენებულს ბაზრებს უცხო ქვეყნის ვაჭრები დაიჭერდნენ, რადგან წელს რუსეთიდგან საზღვარ-გარედ გატანა პურისა საზოგადოდ აღკრძალულია. ეს საგანი ჰქონდათ მხედველობაში რუსეთის მრეწველებს, თორემ საზღვარ-გარედ უფრო იაფადაც-კი იყიდება ფქვილი, ვიდრე თვით რუსეთში. ეხლა რუსეთის მოვაჭრეებს ჰსურთ შეავსონ თავიანთი საქონელი უცხო ქვეყნის ბაზრებში, რომ შემდეგისათვისაც შესაძლებელი იყოს განგრძობა ვაჭრობისა, როცა ნება მიეცემათ საზღვარ-გარედ პურის თავისუფლად გატანისა. მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ ამისი ნება-რთვა რომ მისცა მრეწველებს, თავის მხრივაც პირობა მოსთხოვა, საზღვარ-გარეთიდგანაც სწორედ გატანილ ფქვილის ოდენივე ხორბალი შემოიტანეთო. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ამ ჟამად გაჭირვებულს რუსეთს ისეც მცირე საკვებავი ხელიდგან არ გამოეცალოს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტმა შეიმუშავა და წარადგინა უმაღლესს მთავრობასთან დასამტკიცებლად: დებულება სკოლებისათვის სასანიტარო ზედამხედველობისა და პროგრამა სკოლების შესახებ ცნობათა შესაკრებად. ხსენებულ დებულების სიტყვით, მასწავლებელნი ვალდებულნი არიან იცოდნენ შეტყობა და ნიშნები გადამდებ და ძნელ ავადმყოფობათა. სასწავლებელთა საბჭოთაც დაეკისრებათ იზრუნონ სკოლის ჰიგიენის შესახებ, გამართონ ხოლმე ამის გამო თათბირი და საბჭობლად მაზრის ექიმიც მოიწვიონ.

— საგლეხო საქმეთათვის ცალკე ვექილთა განსაკუთრებულის ინსტიტუტის დაწესება, როგორც გაზეთები იუწყებიან, მალე უნდა დამთავრდეს. ეს ვექილები სახელმწიფო სამსახურში იქნებიან ჩარიცხულნი და 500 მანათამდე ღირებული საქმე უსასყიდლოდ უნდა აწარმოვონ, ხოლო რაც ამაზედ მომეტებული ეღირება საქმე, იმისას კანონიერს სარგებელს მიიღებენ. ამავე დროს კერძო ვექილებს აღეკრძალებათ სხვათა საქმეების წარმოება.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** აი ეს რამდენიმე დღეა, ისე დეპეშა არ მოდის პარიჟიდგან, რომ აწ უკვე დაპატიმრებულ ანარხისტ რავაშოლის შესახებ ამბავი არა მოიტანოს-რა. ამიტომ მგონი მკითხველისათვის საყურადღებო იქნება, ცოტა დაწვრილებით შეიტყოს ვინაობა და ჩანადენი საქმეები ამ კაცისა, რომელიც, ერთის გაზეთის სიტყვით, ბელადია აწინდელ პარიჟის ანარხისტთა და ამხანაგები დიდად აფასებენ იმის უნარსა და მოხერხებას.

შარშან მაისში ლუარას დეპარტამენტის სოფელს შამბელში თითქმის ასის წლის მოხუცი ეტენ ბრიუნელი მოკლული იპოვნეს. ეტენ ბრიუნელი გლახაკობდა, ხალხს წმიდად მიაჩნდა და მკითხაობდა კიდეც. ეს გლახა თავისს ოთახში დარჩობილი ჰნახეს. მკვლელი ანარხისტი რავაშოლი გამოდგა. რავაშოლს ეტენ ბრიუნელის ოთახიდგან მოკვლის შემდეგ 7,000 ფრანკი წაეღო. გლახას ეს ფული სულ ხურდად ჰქონდა მრავალს მჩვარსა და პარკში გამოკრული. რაკი ამ სიმძიმე ფულის წაღება ერთს კაცს არ შეეძლო, რავაშოლი წავიდა, მოიყვანა ეტლი, ფული ერთს ყუთში მოაქცია, დაუდო ეტლზედ და ისე არხეინად წაიღო. აი ეს ამბავი ნათლად ჰმოწმობსო, ამბობს ზემოხსენებულ ამბის დამწერი გაზეთი: თუ რა გამოცდილი, აუღელვებელი და წარბ-შეუხრელად ამსრულებელია ანარხისტი რავაშოლი თავის საწადელისა და განზრახვისაო.

გაზეთ „Figaro"-ს სიტყვით, რავაშოლს დროცა ჰქონდა, რომ ასე რიგად გამოცდილიყო და გაწვრთნილიყო კაცის კვლასა და სხვის სარჩოს მოხმარებაში. 1885 წელსაც რავაშოლმა მოჰკლა ერთი მოხუცი კაცი და მასთან ერთად თითქმის 84 წლის დედა-ბერიც. 1888 წელს კიდევ რავაშოლმა მოჰკლა მხეცურად ერთი მოხუცი კაცი და იმისი ახალგაზდა ცოლი. ამას გარდა, ხალხი რავაშოლსვე აბრალებს ერთის სხვა მოხუც კაცის მოკვლასაც. სწორედ დაუჯერებელი ამბავია ასეთი ოინები რავაშოლისაო, ამბობს გაზეთი, მაგრამ როგორ არ დავიჯეროთ, როდესაც ყოველივე ეს ნამდვილი და შემოწმებულიაო. უთუოდ ანარხისტების აზრით მოხუცებულები საჭირონი არ არიან საზოგადოების კეთილდღეობისათვის და ამიტომ თუ ჰკლავენ, რომ მათ მიერ შეძენილი სარჩო თითონ უფრო უკეთესად გამოიყენონო.

ჯერ კარგად არავინ იცის, თუ როგორ გადურჩა რავაშოლი სარჩობელას (საფრანგეთში კაცის მოკვლისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული). შარშან მოხუც ბრიუნელის მოკვლის შემდეგ რავაშოლი შეიპყრეს, გაუკეთეს ბორკილები და ოთხის დარაჯით სოფლიდგან ციხეში გაგზავნეს. გზაზედ ვილაც მთვრალი კაცი შეჰხვდათ და ჩხუბი დაუწყო დარაჯებს. რავაშოლმა იხელთა დრო და როცა დარაჯები იმ კაცს ეკინკლავებოდნენ, გაიქცა და დაიმალა. გამოუდგნენ დარაჯები, მაგრამ ველარ იპოვნეს. ჰფიქრობენ, რავაშოლს იქვე ამხანაგები ეყოლებოდა და ისინი უშველიდნენ გაქცევასა და დამალვასაო.

ასე იყო თუ ისე, ამ ამბის შემდეგ რავაშოლი პარიჟში სცხოვრობდა ლეონ ლეჟეს სახელით. სახლი იაფფასიანი ექირა—100 ფრანკად წელიწადში. წავიდოდა დილით სახლიდგან და თან ერთი ჩემოდანი მიჰქონდა. საღამოზედ რომ მოდიოდა მაშინა, თან ორი სამი ამხანაგი მოჰყავდა და იმათთან ატარებდა დროს. პოლიციამ შეიტყო, აქა და აქ სცხოვრობს რავაშოლი ლეონ ლეჟეს სახელითაო, ის სახლი გაუჩხრიკა, მაგრამ რავაშოლმა წინა დღითვე თავის ამხანაგების შემწეობით დასცალა სახლი და პროვინციაში გასწია. იქ არხეინად დადიოდა თეატრებსა და სხვა ადგილებში და შემდეგ ისევ პარიჟში დაბრუნდა, სადაც, როგორც ვუწყით, პოლიციამ უკვე დააპატიმრა.

რავაშოლი უკანონო შვილია და დედის სახელი ჰქვიან. მამა ვილაც გერმანელი ჰყავდა, გვარად კენიგშტეინი. ამის გამო მეტს სახელს ამხანაგები კოსტეინს ეძახდნენ რავაშოლს.

## წვრილი ამბავი

თუ ასტრონომს ლეკკეს დავუჯერებთ, ამ მეცნიერს როსსის შესანიშნავ ტელესკოპის შემწეობით მთვარე რამდენისამე ვერსის სიშორეზედ დაუახლოვებია და კარგად გაუსინჯავს. იგი ამბობს, რომ მთვარეზედ ცოცხალი არსებანი ვნახეო. ზღომად იყვნენ სხვა-და-სხვა ცხოველნი, რომელნიც ძალიან ჰგავდნენ ჩვენს ხარსა, ირემსა და კამეჩს, იმ განსხვავებით-კი, რომ შუბლი ძალიან დიდრონი ჰქონდათ და თვალები კარგად აღარ უჩანდათო. ორ-ფეხა არსებანიც ვნახე, ადამიანებისა და მაიმუნების მგზავსნი, ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ და თან გაცხარებით იქნევდნენ ხელებს, ალბად ლაპარაკში თუ იყვნენ გართულნიო. შენობებსაც მოვკარი თვალი, რომელიც საუცხოო სიღამაზისა იყო და სულ სხვა გვარად აგებული. მაგრამ წარმოიდგინეთ ვარსკვლავთ-მრიცხველის გაოცება: დაინახა თურმე, რომ როდესაც მთვარეზედ მყოფმა კაცებმა ღობეს მიატანეს, იმის მაგიერ, რომ კარების ძებნა დაეწყოთ, უცბად ფრთები გაჰშალეს და ღობეს იქით გადაფრინდნენ. თუ ლეკკეს მიერ ნაამბობი მართალია, მაშინ ძნელი აღარ იქნება, მთვარეზედ მცხოვრებლებთან დამოკიდებულება ვიქონიოთ რამე.

— ვგონებთ საყურადღებო უნდა იყოს იმისი ცოდნა, თუ როგორ ამზადებენ გაზეთს იაპონიაში. არც ერთი კუთხე ქვეყნისა არა წვალობს ისე გაზეთის გამოცემისათვის, როგორც იაპონია წვალობს. იაპონიის საწერლო ნიშნები ჩინეთიდგან არის აღებული. ჩინეთში საწერლო ნიშანი სულ 20,000-მდეა, მეცნიერები 14,000 ჰხმარობენ, ჩვეულებრივ-კი—4,000. იაპონელმა ასოთ-ამწყობმა 400 უჯრიან ყუთიდგან უნდა ამოაწყოს ხოლმე ასოები. გაზეთს ჰბეჭდავენ ხელის მაშინაზედ. იაპონიის დიდს გაზეთზედ ჰმუშაობენ უფროსი რედაქტორი, ხუთი ამისი თანაშემწე, 4 კორრექტორი, ერთი სტენოგრაფი, 12 რეპორტერი, 3 თუ 4 ასოთ-ამწყობი, რომელთაგანაც ყველას თავ-თავისი თანაშემწე ჰყავს; 12 დამბეჭდველი და სხვანი მსახურნი. სულ 180 სული ადამიანი სჭირდება გაზეთს. რეპორტერები ძალიან სუსტნი ჰყავს გაზეთს, ახალ ამბების მხრივ ღარიბად არის და ამიტომ ხშირად რედაქტორი დაავალებს ხოლმე რეპორტერებს, რომ ახალი ამბავი რამ მოიგონონ და შეთხზონო.

— ჯვარის-წერაც აბა ისეთი უნდა, აი, როგორიც ამას წინად გადაუხდიათ ამერიკის შტატ ინდიანის ქალაქ პაოლოში. იქაური მოსამართლე სახლში მჯდარა არხეინად საქმეზედ და გარედ-კი კოკა-პირული წვიმა-ნიაღვარი ყოფილა. ეზოში ვიღაცას დაუწყია ლაპარაკი. მოსამართლეს თითონვე გაუღია კარები და წინ წარდგომია ერთი ყმაწვილი ქალი და კაცი. ესენი ამ წვიმაში ცხენებით მოსულან და არც-კი გადმოსულან, ისე უთხოვნიათ, საჩქაროდ გადაგვწერე ჯვარიო. საბუთის ქაღალდები კანონისამებრ წესიერი წარუდგენიათ. მოსამართლეს უთქვამს, ერთმანეთს ხელი მიეცითო, და იქვე გადაუხდია ჯვარ-წერა. ახლად ჯვარ-დაწერილთ დაუგვიანებლივ გადაუხდიათ ჯვარის-საწერი ფული და გაუქუსლიათ ცხენები.

— 1815 წელს, როდესაც გემი, რომლითაც ინგლისელებს ტყვე—ნაპოლეონი მიჰყავდათ, ის იყო უნდა დაძრულიყო ადგილიდგან, ერთს ხუმარას მოუგონია თურმე რაღაცა აზრი და მთელს ჩესტერის ქალაქში შემდეგის შინაარსის განცხადებანი გაუვრცელებია: წმ. ელენეს კუნძული, სადაც ნაპოლეონი მიჰყავთ, ისეა აოხრებული კატებისაგან, რომ იმპერატორი და მისი დარაჯი ნახევარს საათსაც ვერ გაისაძლისებენ იქაო. ამის გამო ინგლისის მთავრობას ჰსურს თაგვების გასაწყვეტად ჩესტერიდგან მთელი რაზმი გაჰგზავნოს კატებისა. ამა-და-ამ დღეს მეფის მიერ დანიშნული აფიცერი ჩამოვა ამ ქალაქში და კატებს იყიდის. ჯიშიანი, დიდი კატა

---

მაცთუნებელთან მისულიყო. ჟულიეტა ამპარტავანი იყო, სამარცხვინოდ მიაჩნდა იმ კაცთან მისვლა.

დღითი-დღე ქალს სასოწარკვეთილება უძლიერდებოდა და ასე მიდიოდა დრო. სანამ შესაძლო იყო, ჰფარავდა თავისს ამბავს იმ პატარა ყმაწვილების წინაშე, რომლებსაც თითონა ზრდიდა. ბოლოს-კი იმ აზრით, ვითომ ნათესავი მყავს ავადაო, დასტოვა პარიჟი, გადასახლდა კლერმონში და სხვა სახელი დაირქვა. აქედგან ერთის თავის მეგობრის შემწეობით ჰგზავნიდა ხშირ-ხშირად წერილებს თავისს მამასთან და აგრეთვე იმ ოჯახშიაც, სადაც ყმაწვილებსა ზრდიდა.

მოახლოვდა დრო მისის სულის ტანჯვის დასასრულისა. ჟულიეტამ იგრძნო ეს, რადგან ტკივილები უძლიერდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეკკლესიიდგან გამოდიოდა... უკანასკნელად კიდევ მოიკრიბა ძალა... ეს სამწუხარო დრამა შესრულდა განკერძოებულს მყუდრო ოთახში... ბავშვის ლეშს წაიღებს და რკინის გზის ვაგონს ქვეშ ჩააგდებს. ვინ რას გაიგებს? ამითი პატრონებს დაიცავ-დაიფარავს, ხელახლად შეეძლება დაიწყოს ცხოვრება...

—

საღამო ჟამი იყო, როდესაც შინ დაბრუნდა. იგრძნო მოახლოვებული განთავისუფლება, მიწვა ლოგინში და საშინელის გულის ცემით ელოდებოდა. დერეფნიდგან მოესმა გამვლელ-გამომვლელთა ფეხის ხმა. ოთახის წინ მოისმოდა სიცილი და ყვირილი. ვიღასაც ოთახში შესვლა უნდოდა, მაგრამ ეს შეცდომით მოუხდა, კარები შეეშალა, უცნობმა მაშინვე ბოდიში მოიხადა, ჟულიეტამ-კი ჩაჰკეტა კარი, კლიტე დაადო და ზედ მაფრაშაც მიადო.

ტკივილებმა ისე შეაწუხა და ისე გაამწარა, რომ ბალიშებს დაუწყო კბენა, რა არის, არ დავიყვიროო; ქალი დარწმუნებული იყო, სიკვდილი არ ამცდებაო. ჰსურდა კიდეც სიკვდილი. თუმცა ასე იტანჯებოდა, მაგრამ აზროვნება მშვენიერი შერჩა. სხვა-და-სხვა აზრი მოსდიოდა თავში. „რა საშინელებაა ჩემი სიცოცხლე!" ჰფიქრობდა ქალი. ჟულიეტას თვალ-წინ წარმოუდგა ყმაწვილობა, მშობლების სიღარიბე, გაიხსენა თავისი სწავლა, დიპლომი, გაიხსენა ის, თუ რა რიგ ალტაცებული იყო მისი მამა იმის გამო, რომ იმის შვილი მასწავლებელი უნდა გამხდარიყო. მოაგონდა ისიც, თუ როგორ შევიდა იმ სახლში, სადაც, საუბედუროდ, ბარონი დე-კერნი შეხვდა. რამდენი შემაძრწუნებელი რამ გამოიარა იქ, რამდენჯერმე ცუდმა გრძნობამაც მოუარა, როდესაც შეადარა თავისი თავი იმ ყმაწვილს ქალებს, რომელნიც შედიოდნენ მასთან საკლასო ოთახში, რომ გულით გადაეკოცნათ იმისი პატარა მოსწავლე ქალები.

ბოლოს ტკივილი ისე გაუძლიერდა, რომ თავს ბრუ დაესხა და აღარა ესმოდა-რა... ბავშვი დაიბადა... ქალი ცოტ-ცოტად გონზედ მოვიდა. იგრძნო, რომ მის წინ ბავშვი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტა ხელში აყვანა... ხელ-ახლად მოიგონა თავისი შესაზარი აზრი. უფრო უკეთესი იქნებოდა, რასაკვირველია, მაშინვე აეყვანა ხელში და დაერჩო... მაგრამ ძალა აღარა ჰქონდა... გაშტერებული-ღა დარჩა.

რამდენს ხანს იყო ასეთს მდგომარეობაში... ამისი თქმა ქალს არ შეეძლო. სასახლეში სიჩუმე-ღა იყო ჩამოვარდნილი. ახლად დაბადებულის კნავილმა-ღა გამოიყვანა ასეთის გარინდებისაგან. ჟულიეტა ეუბნებოდა თავისს თავს: «საჭიროა, რომ ასე მოვიქცეო!» აკანკალებულის ხელებით აიყვანა ყმაწვილი, უნდოდა დაეხედნა. რის წვალებით აანთო სანთელი და დაუწყო ცქერა... დაბადებული ქალი აღმოჩნდა. წყნარი და მშვიდი ქმნილება ფეხებს აპარჭყალებდა, ტუჩებს აცმაცუნებდა. ჟულიეტამ მოიგონა, რაც აბბატმა უბრძანა, მიიკრა მკერდში თავისი პატარა ბავშვი, რომელიც გაუმაძღრად მოექიდა ძუძუებს. ჟულიეტამ თვალთაგან ცრემლები გადმოაფრქვია, მოეხვია ბავშვს და ტირილით იმეორებდა.

— შვილო, ჩემო შვილო!

იმის მაგიერ, რომ დაერჩო ეს წყნარი, მშვიდი ქმნილება, დედამ ლოლიაობა და ალერსი დაუწყო.

იოელ გამრეკელი

დაფასებულია ხუთ მანათად, შუათანა ტანისა—3 მანათად და კნუტი—სამ აბაზად. გულ-უბრყვილო მკვიდრთ ეს ხუმრობა მართლად მიიჩნიეს და დანიშნულს ვადაზედ რამდენიმე ათასი კატა მოიყვანეს თურმე ჩესტერში. ბოლოს მიხვდნენ, რომ ვიღამაც მოგვატყუაო. გაბრაზიანებულებმა ეს იმდენი კატები ქალაქში გაუშვეს და ვინაიდამ ქალაქის გამგეობა არ აიღეს. ბევრს მასხარა ქალაქელს სცემეს სოფლიდგან კატის ჩამომყვანებმა. ამას შემდეგ სამს კვირაში ჩესტერსა და იმის ახლო-მახლო 4,000-მდე კატა მოჰკლეს. ამ ხუმრობის მომგონის ვინაობა მაინც და მაინც ვერ შეიტყვეს, თუმცა პოლიცია იმის მპოვნელს ჯილდოსაც-კი დაჰპირდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

მე, ამ სტრიქონების დამწერი, ერთობ შეჭირვებულს ყოფა-ცხოვრებაში ვარ ერთის გარემოების წყალობით, რომელსაც ქვემოდ მოვიხსენიებ. ვისაც-კი მივმართე საშველად, ყველამ ზურგი მაქცია. დღეს განვიზრახე გაზეთის საშუალებით მივმართო მთელს ხალხს და ვითხოვ სამართალსა; იმედი მაქვს „ივერიის" რედაქცია ხელს მომიმართავს და ადგილს მისცემს ამ ჩემს სამართლიანს საჩივარს.

მე გახლავართ ტომით და სარწმუნოებით სომეხი სოფ. ახალქალაქიდგან, რომელიც გორის მაზრაში მდებარეობს. დროებით ვცხოვრობ ქ. გორში, აქვე მაქვს ვაჭრობა და დღეს გორშივე გწერივარ. გორში შევირთე, ჩემდა საუბედუროდ, ცოლი, რომლისაგანაც მყავს ოთხი შვილი. მე და ჩემს ცოლს დიდი უსიამოვნობა ჩამოგვივარდა და დღითი-დღე იმატა ამ უსიამოვნებამ. მე შვილები შემებრალნენ, რომ ამ უსიამოვნებამ არ დამიღუპოს უმანკო არსებანი-მეთქი, შემებრალა ჩემი თავიც, რადგან მუდამ ჯოჯოხეთის ცეცხლი მწვავდა, მიწყლავდა გულს, მასალმებდა უმაწვილს კაცს ტოლსა და ამხანაგებში; მოთმინების ფიალა ამევსო და ის დედაკაცი, რომელიც ჩემ ცოლად იწოდებოდა, მაგრამ მღუპავდა-კი, სახლიდგან დავითხოვე. ყველამ იცის აქ ჩვენი გარემოება; ჩემმა სასულიერო მთავრობამაც იცის. მაგრამ დღემდის ჩემს სულს მოსვენებას არ აძლევენ ჩემი მოძღვრები, რომელთაც სული უნდა დამიმშვიდონ და არა უარესად გამიბოროტონ. მე ქრისტიანი კაცი ვარ და, როგორც ქრისტიანი, ყოველ წლივ წმიდა ზიარება საჭიროა ჩემთვის. შარშან 1891 წ. მოძღვარმა ზიარება შემიკრა: თუ შენს ცოლს შეურიგდები, სახლში მიიღებ, გაზიარებთ, თუ არა-და, არ შეიძლებაო. იმ მღვდელმა, რომელსაც უნდა ვეზიარებინე, შემდეგის შინაარსის წერილი მომწერა (წერილს წარმოვადგენდი, შენახული მაქვს, მაგრამ იმედია, ჩემს გულ-წრფელს აღსარებას ენდობით): ვერ გაზიარებ, რადგან გორის სასულიერო მთავრობა მიშლისო; ჩემს დაღუპვას ნუ მოინდომებ, გადასდე ზიარება; ასე მეუბნებიან: თუ ცოლს შეურიგდება, აზიარეო. დავრჩი შარშან უზიარებელი. წელსაც დავიწყე მზადება. დეკანოზმა ტერ-სტეფან ტერ-სტეფანოვმა შემიკრა ზიარება,—თუ ცოლს შეურიგდები, გაზიარებთო. შარშანაც ამ დეკანოზის უნარი იყო, რომ შემიკრეს ზიარება. მე იძულებული ვიყავ, გავსულიყავ სოფ. ახალქალაქში და იქ მიმეღო წმიდა საიდუმლო ზიარებისა. იქნება სხვის შეხედულობით ზიარება დიდი არაფერია, მაგრამ მე, როგორც დაბალის წოდების კაცს, გაუნათლებელს, დიდად მიმაჩნია. რას მემართლებიან? ჩემი უარშიო და უსიამოვნო ცოლი რომ დავითხოვე სახლიდამ და მითი გადავარჩინე დაღუპვას ოთხ-ოთხი უსუსური ბავშვი, გადავირჩინე თავი ჯოჯოხეთის ცეცხლიდგან, იმიტომ მიშვრებიან ამისთანა საქმესა? იმიტომ უნდათ, რომ მე ქრისტიანობაზედაც ხელი ავიღო? თუ ასე შემავიწროებენ, იძულებული გავხდები ჩემის შვილებით სხვა სარწმუნოება მივიღო და ამით გავშორდე ჩემს მტარვალებსა, ჩემის სულის შემაწუხებლებსა. ახლა ამას ვითხოვ, რომლის სინიდისის ძალით, რომლის კანონის საფუძვლით მიკრძალავენ მე ზიარებას? მითხრან, გამაგებინონ, რომ ესა-და-ეს კანონი უკრძალავს იმ კაცს, რომელიც თვის თანამეცხედრეს გააძევებს სახლიდგან და მითი დაიცავს მთელის სახლის ნამუსს, — ზიარებასა და მაშინ მეც ალბად ან დავემორჩილები იმისთანა კანონსა, ან სხვა რამე ღონეს ვიღონებ.

აქ ისიც უნდა ვსთქვა, რომ წელს ჩემს ცოლს სამის კაცის თანადასწრებით შენდობა მოვთხოვე ზიარების წინ. ეს შევასრულე მოძღვრის თხოვნით, მაგრამ ეს არ მაკმარეს—უნდა სახლში მიიღო და მასთან იცხოვრეო.

აი, ეს არის ჩემი საჩივარი, ჩემი გულის-ტკივილი. უმორჩილესად ვითხოვ დამიბეჭდოთ და მით შეღავათი მისცეთ ჩემს ნაგვემს სულს. ვსთხოვ სომხურს და რუსულს გაზეთებსაც ეს ჩემი წერილი გადაბეჭდონ.

მიხეილ უმიკოვი

1892 წ. 9 მარტს.

ქ. გორი.

## დეპეშა

23 მარტი

**პეტერბურგი.** „Journal de St.-Petersburg"-ი იუწყება, რომ მინისტრი გირსი ამ ჟამად უფრო უკეთ არისო.

საუფლისწულო უწყებამ გამართა უსასყიდლოდ სასადილოები სოფელს ალფრედოვკაში და ორიოლის მაზრის ორს სხვა სოფელში.

გუშინ დაიწყო კრება რუს ფრინველის მომშენებელთა. შეიკრიბა 40 კაცი.

**რიგა.** ნავთსადგურიდგან ზღვამდე გზა გაიხსნა.

**ლიბავა.** ჩრდილო-ამერიკის გემი „მისსური", რომელსაც დამშეულ რუსთათვის ფქვილი მოაქვს, გუშინ მოვიდა აქაურს რეიდზე და დიდის ამბით მიეგებნენ.

**სტრაფფორდი.** ანარხისტთა საქმის შესახებ უოლსალში სასამართლომ შემდეგი განაჩინა: სამს ბრალდებულს მიუსაჯა დაპატიმრება 10 წლის ვადით, ერთს, რომელიც თავისით გამოტყდა, 5 წლით დაპატიმრებავე, ხოლო ორნი გამართლებულ იქმნენ.

**პარიჟი.** ტყუილი ამბავი გამოდგა, ვითომ ანარხისტი მატიე დაეჭიროთ.

**ბერლინი.** „Norddeutsche Allgemeine Zeitung"-ი ამბობს: იმპერატორმა ეხლა იმიტომ აჩუქა თავისს სურათი გრაფს შუვალოვს, რომ ამ ორის წლის წინად აღუთქვა და სურათის დახატვა მხოლოდ ეხლა დაასრულესო.

**ბერნი.** ციურიხის მახლობლად, გრეიფენის ტბაზე გემი დაიღუპა სიმძიმის გამო. 40 მგზავრთაგან 4 დაირჩო და სხვები-კი გადარჩნენ.

**პარიჟი.** დაგომელებმა ომი დაუწყეს ფრანგებს და თხოულობენ, სრულიად წადით ჩვენის ქვეყნიდგანო.

საეროვნო სეკრეტარიატმა მოწოდებით მიჰმართა ფრანგ მუშებს და სთხოვს, 1 მაისს უწესოებას ნურას ჩაიდენთ, ხოლო ითხოვეთ საერთაშორისო მშვიდობიანობა და დღეში მხოლოდ 8 საათის მუშაობის დაწესებაო.

გუშინ საღამოს პოლიციამ დააპატიმრა ქალის ტანისამოსიანი კაცი, რომელიც გარეგნობით რავაშოლის მთავარს მონაწილეს მატიესა ჰგავს.

პეტერბურგის ბირჟა, 20 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,86 | 7,88 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 157 | 157½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1,18 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 237 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 218½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | 198 | 199 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.

წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „

„ „ 2

თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „

„ „ „ 2 „ „ „

„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.

მე-2 „ „ „ „ „

მე-3 „ „ „ „ „

ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „

„ „ 2 „ „

სუკი — — — 14 „

ცხვრის ხორცი — — 9 „

ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „

მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „


# განცხადებანი

ქართველებს

სააღდგომო საჩუქრად.

ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში იყიდება

**ილია ჭავჭავაძის** თხზულებათა 1 ტ. (ლექსები და პოემები) კარგ ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით. 2 მ. 50 კ.

იგივე უყდო. . . 2 მ.

იგივე მდარე ქაღალდზე . 1 მ. 20 კ.

„ბნელო", მოთხრობა მელანიასი მშვენიერის ყდით . 90 კ.

დავითაშვილის ნაწერები ლამაზის ყდით. . . 1 მ. 25 კ.

ზღაპრები ლამაზი ყდით . 80 კ.

**მეელვან!!!**

საპონი ოლეო-ვაზელინი

**როიალ-კონგო!**

ახალი ამბავი!!!

**სურნელოვანი წყლები**

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი

ფაბრიკისა

„ვიქტორია რეგინასი"

**ე. ბოდლო და ამხ.**

მოსკოვში.

(10—5)

### სიმრთელის კიდობანი

ოჯახში საკითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი, შედგენილი ილია სულაქველიძისაგან და განხილული პეტერბურგში მკურნალთა რჩევაში, თითო წიგნი 1 მანეთად ისყიდება:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში, გორში — არსენ კალანდაძისაში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა და წერეთლისაში, ბათუმში—ნიკოლაძისაში და ფოთში—ძმათა ნოდიათა წიგნის მაღაზიაში, ბექათუბანში—ანდრია მაფათავასთან; ყვირილაში—იორდანე ცერცვაძესთან; სამტრედიაში—კონსტანტინე ვაჩეიშვილთან; ნაგომარში—ა. კილურაძესთან; ფოთში—ავტორთან.

ვინც იყიდის 20 ცალს ნაღდს ფულზე, თითო ცალი 80 კ. დაუთმობა.

(8—7)

### „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდო I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელლო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |


Дозв. ценз. Тифлисъ, 24-го Марта 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.